

# თვალსაზრისი

ზაალ კიკვიძე

## რამდენიმე შენიშვნა გენდერულ განსხვავებათა შესახებ ენასა და კომუნიკაციაში

წინამდებარე ნაშრომი ენაში არსებულ გენდერულ განსხვავებებს ეხება. კიდევ ერთხელ, ამჯერად ხაზგასმით, გენდერულს და არა სქესობრივს. სწორედ ამის გამო თავიდანვე უნდა აღვნიშნო შემდეგი: 1997 წელს გიორგი როგავას ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდა სტატია „ქალთა და მამაკაცთა მეტყველების თავისებურებათა შესახებ“ [კიკვიძე 1997]. დღეს ამ სათაურს აუცილებლად გადავაკეთებდი და ცვლილებას ექნებოდა შემდეგი სახე: არა „ქალთა და მამაკაცთა“; არამედ „ქალური და მამაკაცური“, იმიტომ რომ გენდერი სოციალურ-კულტურული ფენომენია (მისი კატეგორიზაცია არა ქალი და მამაკაცი ან მდედრობითი და მამრობითი, არამედ ქალურობა და მამაკაცურობა) და ენაში მასთან დაკავშირებული მოვლენების ძიება არსებითად არა რომელიმე სქესთან, არამედ მოცემულ საზოგადოებაში მოცემულ პერიოდში არსებული ქალურობისა (ფემინურობის) და მამაკაცურობის (მასკულინურობის) ფასეულობებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

ენაში გენდერული თავისებურებების დაფიქსირებისა და კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ადეკვატური მიზეზების მიგნებას ყოველთვის აბრკოლებდა სპეციალისტთა კონცენტრაცია ოდენ სტრუქტურულ ანალიზზე. სანიმუშოდ ავიღოთ ი. ცერცვაძის მონოგრაფია „ანდიური ენა“ [ცერცვაძე 1965:5]. ნაშრომის პირველსავე გვერდებზე ავტორი მოიხმობს ადოლფ დირის [1906] მიერ დაფიქსირებულ იმ გენდერულ განსხვავებებს, რომლებიც შენიშნული იყო ანდიური ენის აულ ანდის თქმაში. ღირსსაცნობია ზემოაღნიშნული წიგნის რედაქტორის არნოლდ ჩიქობავას შენიშვნა იმის თაობაზე, რომ „სასურველი იყო ამ მხრივ კილოკავ-თქმათა ჩვენება უფრო სრულად გაგვეთვალისწინებინა. ეს საშუალებას მოგვცემდა აგვეხსნა, რატომ ინარჩუნებენ ქალები მეტყველების თავისებურებას, – კერძოდ, ხომ არ უდევს წილი

ამ მოვლენის წარმოშობაში ეგზოგამიას“ [ცერცვაძე 1965: VII]. არნ. ჩიქობავას პოზიცია უაღრესად აქტუალურია. მეცნიერი ორიენტაციას იღებს არა რომელიმე ქრომოსომაზე ან თავის ტვინის მოყვანილობაზე, არამედ სოციალურ ფაქტორზე. ამგვარი მიდგომის მართებულობა წარმოჩნდება თ. უთურგაიძის მიერ განხილულ, ნახურის კალკად მიჩნეულ თუშურისა და ხევსურულის საზოგადო და საკუთარ სახელთა მიმართვის თავისებური ფორმების ანალიზისას, რითაც ისინი მკაფიოდ განირჩევიან ლიტერატურული ქართულისა და დანარჩენი კილოებისაგან. ზემოთ ნახსენები მიდგომის ადეკვატურობა წარმოდგენილია ავტორისეულ დასკვნაში: „ქალთა მეტყველებას, საერთოდ, აქვს ერთი სპეციფიკა: იგი უფრო კონსერვატიულია და ინახავს არქაულ ვითარებას. ვფიქრობთ, რომ ქალთა თუშურ-ხევსურულ მეტყველებაში დაჟინებითი ფორმებისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა სიგრძე უნდა ყოფილიყო საერთო კილოური ნორმა (როგორც თხოვნითი კილოს ფორმები თანამედროვე ხევსურულში), დაფუძნებული ნახურის გავლენით. ნახური ელემენტის შესუსტება ხდება ქართული ელემენტის გაზრდის ხარჯზე. მამაკაცები (როგორც თემის უფრო სოციალიზებული წევრები – ზ. კ.), განიცდიდნენ რა ბარის მეტყველების გავლენას, ადვილად აღწევდნენ თავს ნახურ ელემენტებს. ქართული ელემენტის გაძლიერების დროს, რა თქმა უნდა, სწორედ ტონურ-ინტონაციური ნორმები შეირყეოდა ჯერ“ [უთურგაიძე 1966:83].

განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა ვერბალურ რეპერტუარებს შორის შენიშნულია ზეპირი თუ წერილი სამეტყველო სტილების დონეზეც. მდიდარი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე ი. ეინარსონმა დააფიქსირა, რომ მამაკაცთა სამეტყველო სტილი უფრო ეყრდნობა სუბსტანტივებსა და უფრო ხშირია სხვადასხვა სახის ატრიბუტივები, ქალთა სტილი კი უფრო მარტივია და საყრდენად უმეტესწილად ნაცვალსახელისა და ზმნის კონსტრუქციას გამოყენებული (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შვედური ზმნა მორფოლოგიურად უაღრესად ლარიბი და მოუქნელია; ამიტომაც უწოდებს მეცნიერი ზმნებით გაჯერებულ სტილს მარტივს). ამასთანავე, სწორედ წერილი მეტყველებისა და უფრო ოფიციალური რეგისტრისათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი სუბსტანტივებით მდიდარი სტილი. საბედნიეროდ, იმის ნაცვლად, რომ რაიმე სწორხაზოვანი დასკვნები გამოეტანა, ი. ეინარსონი აცხადებს, რომ შემჩნეული განსხვავებები ფაქტობრივად სოციალური დიფერენციაციის ამსახველი ენობრივი ინდექსებია [ეინარსონი 1976:61].

ღირსსაცნობია, რომ განსხვავებები ფიქსირდება კომუნიკაციის არაენობრივი საშუალებების გამოყენების დროსაც. აღნიშნულის

ნათელი დადასტურებაა მექსიკის ერთ-ერთ შტატში მოსახლე მახატეკოს ტომის ინდიელთა შორის გავრცელებული სტვენით საუბარი. ნიშანდობლივია, რომ სტვენით მხოლოდ მამაკაცები ურთიერთობენ. ვაჟები სტვენით „საუბარს“ თითქმის ენის ადგმასთან ერთად სწავლობენ. მიუხედავად იმისა, რომ მაზატეკოელი ქალები არ სტვენენ, მათთვის მაინც გასაგებია ამგვარი „საუბრის“ შინაარსი [ქაუენი 1964:305-311]. აღნიშნულთან თავისებურ მსგავსებას ამჟღავნებს კონგოში მოსახლე ზოგიერთი ტომის მიერ გამოყენებული „გონგების ენა“, რომლითაც ჩვეულებრივ მხოლოდ მამაკაცები სარგებლობენ.

თავისთავად ცხადია, რომ ის სოციალური ინსტიტუტები, რომლებმაც განაპირობეს ზემოთ აღწერილი ზოგიერთი ლინგვისტური თუ პარალინგვისტური დიფერენციაციის გაჩენა, შესაძლოა, უკვე მოშლილიც იყოს, მაგრამ ენაში ეს ოპოზიციები გარკვეული კოგნიტიური (resp. კულტურული) ინერციით ნარჩუნდება. მთავარია იმის აღიარება, რომ ქალური და მამაკაცური მეტყველების განსხვავებულ თავისებურებათა გაჩენის წყაროდ მივიჩნით არა სქესობრივი, არამედ სოციალურ-კულტურული ფაქტორები. ამას ემატება ისიც, რომ, თუ ენაში ერთხელ იჩინა თავი ამგვარმა თავისებურებებმა, ისინი შენარჩუნდება გამომწვევ ფაქტორთა ნაწილობრივი ან სრული გაქრობის შემდეგაც კი. ზემოთქმულის ერთ-ერთი საინტერესო ილუსტრაციაა სამეგრელოში შემონახული რელიგიური დღესასწაული და მისი აღმნიშვნელი ტერმინი **ოსურეფიშთანაფა II ჭიჭეთანაფა** – ზედმიწე. ქალების აღდგომა II პატარა აღდგომა; მას აღნიშნავდნენ აღდგომის მომდევნო კვირადღეს. ი. არონიას აზრით, წარმოდგენილი ვითარების „საფუძველი უნდა ვეძიოთ ტრადიციაში, რაც ადრეულ პერიოდში არსებობდა სამეგრელოში. კერძოდ: ქალს არ შეეძლო მამაკაცთან ერთად მაგიდასთან ჯდომა. უფრო მეტიც, მას ამ დროს ოთახშიც კი არ შეეძლო გაჩერება, არ შეეძლო მეუღლისათვის სახელის დაძახება. ეს ტრადიცია დღესაც არ არის უცხო. მოსალოდნელია, რომ ასეთ შემთხვევაში ქალს არც რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა შეეძლო მამაკაცთან ერთად, რამაც გამოიწვია აღდგომის მომდევნო კვირას ამ დღესასწაულის დამკვიდრება ქალებისთვის. ... დღესდღეობით როგორც აღდგომის დღესასწაულს, ისე მომდევნო კვირაში არსებულ ოსურეფიში II ჭიჭეთანაფას ზეიმობენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები“ [არონია 2001:274]. ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ამგვარი გენდერული სეგრეგაცია სამეტყველო განსხვავებებსაც გამოიწვევდა, არცთუ უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

მას შემდეგ, რაც გენდერლინგვისტიკამ მოახერხა სიცხადის შეტანა ზემოაღნიშნულ საკითხში, დღის წესრიგში დადგა შესაბამისი

ტერმინოლოგიის შექმნის აუცილებლობა. თავდაპირველად გაჩნდა ტერმინი „გერნდერლექტი“. ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებულ „სოციოლინგვისტიკურ ტერმინთა გლოსარიუმში“ შემდეგი განმარტებაა წარმოდგენილი „ქალების ან მამაკაცების (ან, უფრო სწორად, ქალური ან მამაკაცური) დამახასიათებელი მეტყველებისათვის – ლექტი. ტერმინი შემოიღო ამერიკელმა ენათმეცნიერმა ჩერის კრეიმერმა“ [კიკვიძე 2012]. სპეციალურ ლიტერატურაში მის ბადლად ზოგჯერ გვხვდება ტერმინი „სექსოლექტი“; მაგრამ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო (იგულისხმება ბიოლოგიური ესენციალიზმისათვის კანონზომიერი უარის თქმა გენდერულ კვლევებში) მან ფეხი ვერ მოიკიდა. სამართლიანობის გულისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გენდერლექტის არსის, სტატუსისა თუ შედგენილობის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ განსხვავებული და ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრებები არსებობს [კრეიმერი 1974; თანენი 1991; ჰაასი 1979], თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისი დამკვიდრებისათვის. რადგანაც იგი საერთო ტერმინია ქალური და მამაკაცური მეტყველების აღსანიშნავად, მომდევნო ეტაპზე გაჩნდა მათთვის ცალ-ცალკე ტერმინების შექმნის საჭიროება. სამეცნიერო ლიტერატურაში მართლაც გამოჩნდა შემდეგი წყვილები:

**ფემინოლექტი – მასკულინოლექტი** [კალერო ვაკერა 1997]

**ფემინოლექტი – ვირილოლექტი** [ტოშოვიჩი 2004]

**გინ(ეკ)ოლექტი – ანდროლექტი** [კოსი 1991]

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ალაგ-ალაგ გვხვდება ტერმინები არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა მეტყველების აღსანიშნავად. მაგალითად, ლესბოლექტი, ჰომოლექტი და ა. შ.

ღირსსაცნობია ის გარემოება, რომ ზემომოყვანილი ტერმინები მკვლევართა მიერ ემპირიული მასალის შესწავლის კვალად არის შემოღებული და დამკვიდრებული, რაც გარკვეული პრეცედენტული ღირებულებისა უნდა გახდეს ჩვენში უხვად არსებული იმ ეთნოგრაფიული და/ან დიალექტური მასალის გენდერლინგვისტური ანალიზისათვის, რომელიც უახლოესი მომავლის საქმედ გვესახება.

## დამოწმებანი

- არონია 2001:** ი. არონია, კომპოზიტიური შედგენილობის ტერმინები მეგრულში. *საენათმეცნიერო ძიებანი*, XI. თბილისი: 272-277.
- ღირი 1906:** Дирр А. *Краткий грамматический очерк андийского языка* //СМОМПК. Вып. XXXVII.. Тифлис.
- ეინარსონი 1976:** Einarsson, J. Männ, kvinnor och språk. *Nordiska studier i filologi och lingvistik. Festskrift tillägnad Gösta Holm*. Lund: Studentlitteratur AB: 60-75.
- თანენი 1991:** Tannen, D. *You Just Don't Understand: Women and men in conversation*. London: Virago.
- კალერო ვაკერა 1997:** Calero Vaquera, L. El discurso de la mujer y el discurso sobre la mujer. *III Jornadas de Lingüística (In memoriam Profesor Emilio Alarcos Llorach)*, ed. by M. Casas Gómez & T. Díaz Hormigo. Cádiz: Servicio de Publicaciones de la Universidad de Cádiz: 43-62.
- კიკვიძე 1997:** ზ. კიკვიძე, ქალთა და მამაკაცთა მეტყველების თავისებურებათა შესახებ. *გიორგი როგავას (საიუბილეო კრებული)*. თბილისი: ქართული ენა: 110-115.
- კიკვიძე 2012:** ზ. კიკვიძე, *სოციოლინგვისტიკურ ტერმინთა გლოსარიუმი (იბეჭდება)*.
- კოსი 1991:** Causse, M. *L'Interloquée. Les oubliées de l'oubli. Dé/générée*. Montréal: Trois.
- კრეიმერი 1974:** Kramer, C. Women's speech: Separate but unequal? *Quarterly Journal of Speech*, 60: 14-24.
- ტოშოვიჩი 2004:** Тошовић Б. Экспресивност. *Стил*, 3. Београд – Бања-лука: 25-62.
- უთურგაიძე 1966:** თ. უთურგაიძე, *ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება*. თბილისი: მეცნიერება.
- ქაუენი 1964:** Cowen, G. M. Mazateco Whistle Speech. *Language in Culture and Society. A Reader in Linguistics and anthropology*, ed. by D. Hymes. New York: Harper & Row: 305-311.
- ცერცვაძე 1965:** ილ. ცერცვაძე, *ანდიური ენა (გრამატიკული ანალიზი ტექსტებით)*. თბილისი: მეცნიერება.
- ჰაასი 1979:** Haas, A. The Acquisition of Genderlect. *Language, Sex and Gender. Does La Différence make a difference?*, ed. by J. Orasanu, M. K. Slater, and L. L. Adler (Annals of the New York Academy of Sciences, Vol. 327). New York: The New York Academy of Sciences: 101-114.